

## თავი 14

### ინსტიტუციური დებულებები

#### მუხლი 14.1: FTA ერთობლივი კომისია

1. მხარეები აფუძნებენ ჩინეთ-საქართველოს ერთობლივ კომისიას (შემდგომში წოდებული, როგორც „FTA ერთობლივი კომისია“), რომელიც შედგება თითოეული მხარის წარმომადგენლებისგან. ამ მიზნით, მხარეებს წარმოადგენენ მათ მიერ დანიშნული მაღალი თანამდებობის პირები.
2. FTA ერთობლივი კომისია:
  - a) განიხილავს წინამდებარე შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;
  - b) განიხილავს საკითხებს, რომლებიც მის წინაშე დააყენა რომელიმე მხარემ ან კომიტეტმა ან წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფებმა;
  - c) წინამდებარე შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, შეისწავლის ზომებს მხარეებს შორის მომავალში ვაჭრობის გაფართოვების და ინვესტიციების წახალისების მიმართულებით;
  - d) განიხილავს ნებისმიერ შემოთავაზებას წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის კუთხით და მხარეებისთვის გასცემს რეკომენდაციებს; და
  - e) განიხილავს ნებისმიერ სხვა საკითხს, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წინამდებარე შეთანხმების შესრულებაზე.
3. FTA ერთობლივი კომისია უფლებამოსილია:
  - a) შექმნას დამატებითი კომიტეტები ან დროებითი სამუშაო ჯგუფები და, საჭიროების შემთხვევაში, რჩევისთვის საკითხი გადასცეს რომელიმე კომიტეტს ან სამუშაო ჯგუფს;
  - b) შემდგომში განახორციელოს წინამდებარე შეთანხმების შესრულება საიმპლემენტაციო ღონისძიებების გზით;
  - c) შეეცადოს მოაგვაროს ნებისმიერ უთანხმოება, რომელიც უკავშირდება წინამდებარე შეთანხმების ინტერპრეტაციას ან გამოყენებას;
  - d) შეეცადოს მიიღოს რჩევა არასამთავრობო პირების ან ჯგუფებისგან ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ექცევა მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, თუ ეს ხელს შეუწყობს მას დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში;
  - e) მიიღოს სხვა ზომები თავისი ფუნქციების შესასრულებლად, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

#### მუხლი 14.2: FTA ერთობლივი კომისიის რეგლამენტი

1. FTA ერთობლივი კომისია იღებს გადაწყვეტილებებს და აკეთებს რეკომენდაციებს მის ფუნქციაში შემავალ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ეს განსაზღვრულია 14.1 მუხლით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. გადაწყვეტილების აღსრულება დამოკიდებულია მხარის შიდა სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებაზე.
2. FTA ერთობლივი კომისია შეიკრიბება რეგულარული სესიების დროს წელიწადში ერთხელ, ასევე მხარეთა მოთხოვნით, ნებისმიერ სხვა დროს. FTA ერთობლივი კომისიის რეგულარული სესიების თავმჯდომარეობას მონაცვლეობით შეითავსებს ორივე მხარე. FTA ერთობლივი კომისიის სხვა სესიებს გაუძღვება მასპინძელი მხარე.
3. FTA ერთობლივი კომისია ჩვეულებრივ შეიკრიბება მაღალი თანამდებობის პირთა დონეზე, თუ რომელიმე მხარე არ მოითხოვს შეხვედრის გამართვას მინისტრების დონეზე.
4. მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, თითოეული მხარე ვალდებულია ჩამოაყალიბოს FTA ერთობლივი კომისიის საკუთარი დელეგაციის შემადგენლობა.
5. FTA ერთობლივი კომისიის თავმჯდომარე მხარე უზრუნველყოფს სესიისთვის საჭირო ადმინისტრაციულ დახმარებას და ჩაიწერს FTA ერთობლივი კომისიის მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომლის ასლები გადაეცემა მეორე მხარეს.

#### მუხლი 14.3: საკონტაქტო ორგანო

წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მხარეთა შორის კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით, მხარეები გამოყოფენ შემდეგ საკონტაქტო ორგანოებს:

- a) ჩინეთის შემთხვევაში, კომერციის სამინისტრო; და
- b) საქართველოს შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.